ხელშეკრულება № 68

ბორჯომი **10 მარტი 2017 წ.**

1. ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ **თვითმმართველი ერთეული ბორჯომის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში - „შემსყიდველი") გამგებლის დიმიტრი ყიფიანის სახით და მეორეს მხრივ **შპს „სი-ტი პარკ"-ი** (შემდგომში - „მიმწოდებელი") მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია დანართ №1-ში მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის ერთწლიანი პარკირების საფასურის გადახდა და შესაბამისად პარკირების სისტემაში გააქტიურება. (CPV 63712400)

3. შესასყიდი მომსახურების რაოდენობა და ფასი

3.1 პარკირების მომსახურების შესყიდვა ხორციელდება 2 ერთეულ ავტომანქანაზე. ერთი ავტომანქანის წლიური პარკირების საფასური შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო თანხა შეადგენს **100 (ასი) ლარს.**

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება ქ. თბილისის მასშტაბით (პარკირების სისტემაში გააქტიურება) განხორციელდება „მიმწოდებლის" ანგარიშზე თანხის ჩარიცხვიდან შემდეგი წლის შესაბამის კალენდარულ დღემდე.

4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის ფორმდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1 მომსახურების ხარჯების ანაზღაურება მოხდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ვალუტით,

"შემსყიდველი" _____ **"მიმწოდებელი"** _____

5.2 უნაღდო ანგარიშსწორებით „მიმწოდებლის" მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასების შესაბამისად.

5.3 ანგარიშსწორება განხორციელდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

6. ცვლილებები

6.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის". ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად.

6. 2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.~

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

7.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

9. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9..2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ

"შემსყიდველი" _____ **"მიმწოდებელი"** _____

წარმომადგენლებზე.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად (ერთი – „შემსყიდველს", ერთი – „მიმწოდებელს").

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ჯეროვნად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით – ხელშეკრულების საერთო თანხის 0,3%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების Mსაერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. მხარეები უარს აცხადებენ დავის გაგრძელებაზე სასამართლოში ან/და საარბიტრაჟო ინსტანციაში. დავასთან დაკავშირებული შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, შემსყიდველს ეძლევა უფლება მიმართოს სააღსრულებო დაწესებულებას (როგორც კერძო აღმასრულებელს, ასევე ეროვნული აღსრულების ბიუროს) ხელშეკრულების მე-9 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში აღსრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ანაზღაურებული იქნება

"შემსყიდველი" _____ **"მიმწოდებელი"** _____

შემსყიდველის მიერ.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება მოქმედებს ხელმოწერის დღიდან 2018 წლის 30 აპრილამდე.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ბორჯომის მუნიციპალიტეტი საინდეფიკაციო კოდი 226161961 ბორჯომი, მესხეთის ქუჩა #5 ტელ: 0(367) 223355, 224499 (108) ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, სახაზინო კოდი 300629921, ბანკის კოდი TRESGE22, ხაზინის ერთიანი ანგარიში სხვა შემოსულობები, ბორჯომის თემი მუნიციპალიტეტის გამგებელი ---------- **დ. ყიფიანი**	შპს `სი-ტი პარკ" საიდენტიფიკაციო კოდი 204543770 ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. #47 ტელ: 2555123 ს.ს. `ბანკი რესპუბლიკა" ც/ფ ბანკის კოდი: REPLGE22 ანგარიშის #GE90 BR00000 106 086 189 45 გენერალური მენეჯერი ---------- **ბ. ლაჰავ**

"შემსყიდველი" ----------

"მიმწოდებელი" ----------

დანართი #1

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ავტომანქანები

#	მარკა, მოდელი	ა/მანქანის მომერი
1.	ტოიოტა „ლენდკრუიზერი“	ZVZ-998
2.	ტოიოტა „კამრი“	SA-041-KR